



გაზეთი გაემოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediasmacne@mail.ru

მაცნე

სამბრადიის

N13 (9264)

11 მაისი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

სახდარი



6 წლის ლუგა
რუსაძე საქართველოს
ჩემპიონია

11



“სიფრული
მარკაბინები
სოღნის
ყოველდღიურ
განახლებას
საჭიროებს”

7




6

“გადაღობა ასეთი იკულებისათვის”

თმა გაგზავნილი

ხმაური საკრებულოს სხდომაზე საკვირველი არ უნდა იყოს არც სხვაგან და არც სამტრედიაში. თუმცა ურთიერთბრალდებები ყოფილებსა და ახლანდელს შორის, ბუნებრივია, მხედველობაში ხელისუფლება გვაქვს, უკვე კარგად გაზუსტებული ქრონიკებია. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივ და სოციალურ პროგრამაში შესატანი ცვლილება კიდევ ერთი ურთიერთშელაპარაკების მიზეზად იქცა. კარგა ხანს სხდომაზე სხვა არაფერი ისმოდა გარდა იმისა, რომ საკრებულოს ერთმა წევრმა მეორე ციხიდან გამოიყვანა და თავად იმიტომ დასაჭერი, საკრებულოს კიდევ ერთი წევრი ახლა იმ დარბაზში რომ ზის და თავის დროზე არ დაიჭირა(!). "თქვენ რომ დაიჭირეთ, ისე ვინ დაიჭირა ხალხი?! ორი დაიჭირეთ და სამი გამზადებული გვყოფთ დასაჭერად!" შეასვენა ოპოზიციამ ხელისუფლებას მუნიციპალიტეტის სულ ახლანდელი რეალობა. "მართლა საცოდაობაა ის იჯდეს ციხეში ვინც ზის და შენ გარეთ იყო!" – არ დაუშოო სახელისუფლებო დეპუტატმა ოპოზიციონერს და იქვე დაამატა, "ბევრი შეგრაო და კიდევ ხმას იღებთ?!" მისივე ბრალდებით, სწორედ იმან, ვინც დღეს სხეების დაჭერაზე საუბრობს, თავად სახელმწიფოს ფულით გადახურა პირადი საკუთრება, მეტი "მარგალ-კოსტუმებიდან ამოვარდნენ ტაფის და კასრულის გულისთვის". "მე რომ გადავხურე, შენმა ჯიშმა და ჯილაგმა გადახურა ისე!" – შეაგება პასუხად გადახურვის ბრალდებებს ადრესატმა. "ნაციონალურმა" მეჯარის თემში მერის წარმომადგენელი სოციალური დახმარების პოლიტიკური ნიშნით გაცემად დაადანაშაულეს. ზოგიერთმა ისეთი თქვა, პირი სულ არ გაულო, რომ სჯობდა, ზოგაც ისეთი წამოაძახეს, საკრებულოს წევრს რომ ვერ უნდა წამოგაძახონ! ერთი სიტყვით, სწორედ ისე იყო, როგორც ნოდარ ღუმუბაძის სოფელში ჩატარებულ "საერთო კრებაზე", სადაც ილიოს უთქვამს: "ახლა ის რომ დაიჭირეთ, უმთბოელი რა იქნაო, ან კლუბის საშენი მასალით თავმჯდომარემ სახლი რატომ აიშენაო, ან კოლექტივის ღვინო თავის ჭურჭელში რატომ ჩაასხაო,



სირცხვილია, გაიგებს ვიღაც და მოგვეჭრება თავი, ჩვენი გლახა ჩვენ უნდა შევინახოთ." იმ კრებაზე ერთი იყო შესახანი, ჩვენს შემთხვევაში კი, ამ სხდომაზე მოყვარულთა ბრალდებებს თუ დავითვლით, არაერთი ყოფილა. ილიოს სიტყვებისგან განსხვავებით, საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ ერთ-ერთი მათ შორის, ვისაც ვერც ვერაფერი წამოაძახეს და ვინც თავგამოდებით ცდილობდა დარბაზში არა მხოლოდ წესრიგის დამყარებას, კონსტრუქციული დიალოგის გამართვას და საკრებულოს წევრებს შორის კეთილი დამოკიდებულების

შენარჩუნებას. "თქვენს დროს იყო, თქვენს დროს არის", სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს დარჩება არა მხოლოდ სამტრედიაში, ზოგადად, ქართული პოლიტიკის მსჯელობის საგანი. მათი დრო, ვინც საარჩევნო ყუთებთან თავის დროზე ყოფილებს და შემდეგ ახლანდელს ნდობა გამოუცხადა და ვისი სახელითაც ერთმანეთს გაუთავებდად ახსენებენ საკუთარ დროს, ჯერ არ დამდგარა! დროს არასდროს აგვიანდება, მაგრამ ამ შემთხვევაში სულაც არ ჩქარობს! ერთი სიტყვით, საკითხი, სოციალური

სამსახურის ბიუჯეტში ცვლილებას რომ ეხებოდა, გამოყოფილი 50 ათასიდან 30 ათასი ლარის გადაუღებელი ოპერაციების, 4 ათასის კი ერთჯერადი სოციალური დახმარებების დაფინანსების მუხლში გადატანას გულისხმობდა. დანარჩენი 16 ათასი უკვე გახარჯულია მედიკამენტების დაფინანსებაზე. მაგრამ, როგორც ხელისუფლება აცხადებს, ამ ეტაპზე ბიუჯეტი ვერ შესძლებს ყველა თხოვნის დაფინანსებას. ამიტომ კი არ შეწყდება, დროებით შეჩერდება მედიკამენტების დაფინანსების მუხლი და პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში კვ-

ლაჟ ამოქმედდება. "მედიკამენტების დაფინანსება სულაც ჩემი პროექტი გახლდათ. თავდაპირველად იგი მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე იყო გათვალისწინებული. თუმცა, შემდეგ და შემდეგ, მოსახლეობის სოციალური ფონის გათვალისწინებით, განცხადებებმა ძალიან იმატა. ამდენს ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ დააფინანსებს. ის 50 ათასი ლარი, ამ მუხლის დაფინანსებისთვის რომ გამოკვეთით გადავანაწილოთ სხვა სამედიცინო მომსახურებისთვის და ერთჯერადი დახმარებებისთვის. მოთხოვნილება აქაც საკმაოდ დიდია." – აცხადებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე. რაც შეეხება საკრებულოს, სადაც საკითხი უმრავლესობის შეხედულებისამებრ იქნა მიღებული. სხვა საკითხები ადვილად გაიარეს სხდომაზე. ზედმეტი შელაპარაკებებისა და მტკიცება-უარყოფის გარეშე, თუმცა არა მხოლოდ იმ სხდომის, სხვა სხდომების ურთიერთბრალდებების "რეკლამენტის" დასაწყისშივე ამოიწურა. და ერთიც, სრულიად დაიწრდილა ის სასიხარულო თემა, პირველივე საკითხად რომ გამოიტანა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ – სამტრედიაში მოსწავლე-დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის მეოთხეკლასელი ქეთი ზარიაშვილი კიდევ ერთხელ გახდა პრესტიჟული საფორტეპიანო კონკურსის პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი. ამიტომ ცვლილება შევიდა №1 სახელოვნებო სკოლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. საკრებულოს გადაწყვეტილებით ქეთი ზარიაშვილის პედაგოგს დამატებითი ფინანსური ანაზღაურება მიეცემა. სხდომაზე, სადაც ერთმანეთს ბიუჯეტის ფულით რემონტის კეთება და პირადი შენობების გადახურვა წამოაძახეს საკრებულოს წევრებმა, სულაც არ იცოდნენ ის, რომ იმ პატარა გოგონას, წარმატებულ ქეთი ზარიაშვილს, ყველა კონკურსზე გამარჯვება რომ მოაქვს მუნიციპალიტეტისთვის, საერთოდ არ აქვს საკუთარი საცხოვრებელი სახლი, ბებია ზრდის, ოჯახს ქირის გადახდაც უჭირს და... სასურველია ახლო მომავალში წამოსაძახებელი ის იყოს, ვინ უფროა ნიჭიერი ახალგაზრდის გულშემატკივარი.

საკრებულომ მორიგი სხდომა გამართა

ლევან გაგზავნილი

მას ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. შპს სპორტული კომპლექსი "სამტრედია" მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2018 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხებზე მომუშავე საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის წესის დამტკიცების შესახებ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ანაზღაურებად შევსებულ გასვლის გამო, სამსახურებრივი ურთიერთობების შეჩერების თაობაზე. ლაშა რუსასათვის პირადი გაცხადების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე დღის წესრიგში გათვალისწინებულ სხვა საკითხთა ირგვლივ საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებმა შალვა არხუშანიანი, მანანა სირბილაძემ და მერაბ უდრელიძემ მოახსენეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკრებულოს წევრის, ბატონ ალექსანდრე ჯვარშიაშვილის განცხადება, რომელმაც ისაუბრა იანეთის ტერიტორიაზე ღორღის მოპოვების დაშვებუ-

ლი წესების დარღვევის შესახებ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი, გამოუსწორებელი შედეგებიც კი. ბატონმა ალექსანდრემ თანახმად სახელით საკითხში გარეგნული და ღორღის მოპოვებითი სამუშაოების კანონის ფარგლებში წარმართვაში მუნიციპალიტეტის თავკაცთა მეტი ჩართულობის აუცილებლობა და პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება. საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრება საკრებულოს სხვა წევრებმაც გამოხატეს, ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ბატონი ჯვარშიაშვილის მიერ საკითხი მთელი სიცხადით ისე სრულფასოვნად, არგუმენტირებულად და დროულად დაისვა, რომ მის ადმოსტრატორულად უსწრაფესი რეაგირება ნამდვილად საჭიროა.

ტელეკომპანია "ზარის" ადმინისტრაციის სახელით საკრებულოზე განცხადება კომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნინო ნანიტაშვილმა გააკეთა. თუ მერია არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (თანხის დროული ჩარიცხვა) შესაძლოა, საინფორმაციო პროგრამა "დროება" ეთერში არ გავიდეს. – აღნიშნა მან.



დაინახა წყლის ცენტრალური მაგისტრალზე



7 მაისს საღამოს, დაახლოებით, 6 საათისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტს სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა. მოსახლეობას ამის შესახებ წინასწარ ინფორმაცია არ ჰქონია. მათ ჩათვალეს, რომ ცენტრალურ მაგისტრალზე ავარიული დაზიანება მოხდა. სინამდვილეშიც ასე იყო. სოფელ ნაბაკეში, გაგომიძის ქუჩაზე მცხოვრები გიორგი ნუცუბიძის საკარმიდამო ნაკვეთიდან 7 მაისის დღის მეორე ნახევარში ადგილობრივებს უჩვეულო ხმაური შემოესმათ. ადგილზე მისულებმა ნახეს, თუ როგორ იღვრებოდა მიწის ზედაპირზე წყლის ჭარბი რაოდენობა. მოსახლეობამ იმთავითვე 112-ში დარეკა და დახმარება ითხოვა. ნაბაკეში გაერთიანებული წყლის რეგიონული სამსახურის საავარიო ბრიგადა მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. გაირკვა, რომ ხონი-სამტრედიის ცენტრალური წყლის მაგისტრალზე 600 მილიმეტრიანი მილის დაზიანება მოხდა. იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმის სერვისცენტრის უფროსი ლაშა გიორგაძე სარეაბილიტაციო სამუშაოებს თავად აკვირდებოდა. "სამტრედიის მაგისტრალზე" კომენტარში მან განაცხადა, რომ მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება 24 საათში აღუდგებოდა. **6060 ნაწილად**

მარცხსსლგააოვლინი!

ვისაც სხენის ფლოქსი ჩამდგარი წყალი არ დაუღვინია...



თბა ბაგუნაუზილი

“დროშა ვერ დაჟიდეს”, არა, დროშა გამოცვალეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც უწინააღმდეგო ჩაილაპარაკეს, ამ დროშისნაირი გეაქვს ქვეყანაო! ახლა საქამაიოდ ნუ ვაფხვით ამ ფრანსს, მედია ყველგან მედიაა, სამტრედიაშიც და სხვაგან და სხვაგან!

თუ 73 წლის წინ სოფელ ვერის მკვიდრმა მელიტონ ქანთარია ამ აღმართა რაიხსტაგზე საბჭოთა კავშირის დროშა, იმ დღეს სამტრედიაში ვია შეუბოძებ საქართველოს დროშა ასწია და ეს იყო ფაშისმზე გამარჯვების აღმნიშვნელი ღონისძიებისათვის მზადების ბოლო შტრიხი. უფრო ადრე კი, ტაქსის მძღოლები და კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებთან ერთად დახვდნენ დედის ძველითან მედის წარმომადგენლებს. ყოფილ ღირსშესანიშნავ თარიღს ამ მეორიალითან აღნიშნავენ სამტრედიაში. ორი თაიგული, კარდები შინმოუსვლელის დედის ძველითან და კალები 9 აპრილის მეორიალითან უკვე დაგვხვდა, თუმცა, არაფინ იცის, ვინ მოიტანა.

სანამ ხელისუფლება მოვიდოდა, საქმის “გარჩევა” ტაქსის მძღოლებთან დაიწყო. ყველას მისი პოლიტიკა აქვს, მისი შეხედულება. ზოგი კომუნისტებს ნატრობდა, ზოგი “ნაცებს” მისტიროდა, ზოგსაც “ქოცების” მეორეგეობა ეიმედებოდა. ტერმინები თანამედროვე ვიხმარეთ, რადგან დღეს ასეა მოდაში! თუმცა, მოდაში აღარ არის სამამული უწოდო და მეორე მსოფლიო ომი ფაშისმზე გამარჯვების სახელწოდებით ბოლო წლებში აქტიურად მოიხსენიება. მოიხსენიება რა, ასეც არის და 73-ე 9 მაისის ბევი ემადლიერებოდა იმ ადამიანებს, გერმანული სისხლიანი

ფაშისმი მიწასთან რომ გაასწორა. არგუმენტები იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ამტკიცებდა აქ დღეს გერმანიასავით განვითარებული საქართველო იქნებოდო, მრავლად პქონდათ – საქართველოსგან ერთი პატარა კუთხე დარჩებოდა სადღაც ციმბირში, აქ გერმანელები თავის გემოზე იცხოვრებდნენ.

ერთი სიტყვით, თაიგულით შეამკეს შინმოუსვლელის დედის ძველი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და მერიის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებმა. 2015 წლის მონაცემებით, სამტრედიაში 25 ვეტერანი იყო, 2017-ში 11 მათგანი დარჩა. დღეს მხოლოდ 7-ია სახეზე, აქედან ორი ქალბატონი. ყველა მათგანს საკუთარ სახლებში მიაკითხეს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა და ამანათები გადასცეს. ამანათებში 100 ლარის საკვები და საყოფაცხოვრებო პროდუქტი იდო. გარდა ამისა, 400 ლარი ადგილობრივი, 500 კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ ანგარიშებზე ჩაირიცხა.

იქ მხოლოდ ორმა შეძლო გამოსვლა, რევაზ კანდელაკა და ასლიმბეგ ფილიშვილიმ არც წელს დაარღვიეს ტრადიცია.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანი ფოცხვერია მილოცვასთან ერთად აღნიშნავდა, რომ: “მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა, 700 ათასამდე წავიდა და ნახევარი არ დაბრუნებულა. ჩვენ მათი მოვალენი ვართ, ფაშისმის დამარცხებით მათ მომავალ თაობებს სიცოცხლის, ბედნიერების უფლება აჩუქეს.”

“ვისაც ცხენის ფლოქსივან ჩაღრმავებულ მიწაში ჩამდგარი წყალი არ დაუღვინია, ის ვერ მიხვდება ამ გამარჯვების ფასს!” – სათქმელი ერთი წინადადებით თქვა რევაზ კანდელაკმა, 94 წლის ასაკში 9 მაისი მისთვის ყველაზე დიდი გამარჯვების დღე რომ არის.

“სისხლით გამარჯვებული, ყველა იმის თავიდან დაბადების დღეა, ომის ქარცეცხლი რომ საკუთარ მხრებზე იტვირთა!” – დასძინდა ასლიმბეგ ფილიშვილი.

“მადლიერება არ უნდა მოვკლოთ

ადამიანებს, ამ გამარჯვების უშუალო მონაწილენი რომ გახდნენ. არაფერია დავიწყებული, უფრო სწორად, არ შეიძლება დაგვაიწყდეს და არ გავითავისოთ, რას ნიშნავს ფაშისმზე გამარჯვება. ამიტომ მადლობა მათ, ვინც დაიღუპა და მადლობა მათ, ვინც ჩვენს გვერდით არიან ომის ქარცეცხლგამოვლილი!” – საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია ამას ომში დაღუპულთა მეორიალითან ამბობდა.

“ჩემი ორივე ბაბუა ომში დაკარგულა. როგორ შეიძლება იმ ადამიანების მადლიერნი არ ვიყოთ, მათ მსოფლიოს ყველაზე დიდი მტერი, ფაშისმი დაამარცხეს. ამიტომ ეს დღე ყველამ უნდა მოუფლოცოთ ერთმანეთს!” – ამბობდა მერიის მოადგილე დავით ბახტაძე.

“თქვენი სახით ჩვენს სამშობლოს ჰვაეს ცოცხალი გმირი, ნათელი მაგალითი სიმამაცისა და თავდადების. მინდა იცოდეთ, რომ საქართველო ამაჟობს თქვენით, ადამიანით, ვინც ფაშისმის გამარჯვებთივენს ქვეყანას მოუტანა.” ნათქვამი იყო წერილში, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილისგან მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანმა რომ მიიღო.

ეწერში, ომში დაღუპულთა მეორიალითან კულტურის სახლითან არსებული სასოფლო კლუბის ხელმძღვანელის, ციციური ფხხურდიის ინიციატივით ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პატარა სანახაობა გამართეს. იმ ლექსებით დაიწყეს და დაასრულეს, კარგახანია, რომ არ მოგვისმენია და სასწავლო პროგრამიდანაც უკვე ბევი წეღია, რომ ამოიღეს. “მოვარე ვახშობის მუხებში, დახმულია ჭიშკარი, ადევს კლიტე უხეში...”, “მე ქართველი ბუხაიძე ბალკანეთის მთებში ვწევარ...” სმენა გაახალისა ბავშვობაში გაგვითლებად ნასწავლის გაფინებამ. მოსწავლეებმა კი ლექსის სიმღერაც მოაყოლეს და მეორიალი ყვეალებით შეამკეს.

მუნიციპალიტეტის მერმა თავად გადასცა თაიგული ანა თავაქეს, მეუღლესთან ერთად რიგით ჯარისკაცად რომ წასულა ფრონტზე. რეზინების ხაზზე ელმინტიორი ყოფილა გრიგოლ ჩაჩუა, კოლმეურნეობაშიც უმუშავნია, მასზე 15

წლით უმცროსი სონია რამიშვილი ჩამოყვანია სურებიდან და ომიდან დაბრუნებულს ოჯახი შეუქმნია. დღეს სამი ვაჟი და მათი შვილები უშუაუქმებენ საბერის წლებს. შავი ღვინით სავესტიკა ასწია სუფრის თავში 99 წლის გრიგოლ ჩაჩუამ და სურათის გადაღებისას გვერდით მჯდომ მეუღლეს უთხრა, თავზე გადაიდურე ქალო, კარგად გამოჩნდებიო! ცლო-ქმარი ერთად უნდა კვდებოდნენო, დაყოლა გამარჯვების და სიყვარულის სადღეგრძელოს.

ახნაურების ეზოს იღუმენტებით დაგვხვდა კახიანების ეზოში ორ საუკუნეზე მეტი ხნის ჭადრები. “ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო”, ალბათ, მათზე დასწერდა გალაკტიონი. ამ მეუღრო ეზოში ჩადგმულ ოდაში ახლა 96 წლის პედაგოგს, გიორგი კახიანს მოინახულებენ, ომის ქარცეცხლიან დღეებს მედლებით დახმულულმა რომ დააღწია თავი. აღარ გადაღალეს საუბრით, ვალერიანი ფოცხვერიამ გულითადად მიულოცა ყოფილ პედაგოგს გამარჯვების დღე და კეთილი სურვილები დაუტოვა.

ჭაჩუა შეეკმენი და 96 წელს მივალწე უკვე. ძნელი იყო ბაბუ ძნელი, ვისაც ის სიმწარე არ უნახავს, ადვილია მისთვის საუბარი!” პრემიერის მილოცვასთან ერთად საჩუქარმა გაახარა ავთანდილ გალდავა, ყურადღება დასაფასებელიაო.

მეუღლეს ომის ვეტერანი გახლდათ, შურა ჯულუხიძეს კვლავ ცრემლი მოერია მის სხენებზე. 9 მაისი დაბადების დღეზე მეტა ჩემთვისო, თქვა. სტუმრებს მადლობა გადაუხადა თაიგულისთვის და ის “შავი ომი”, არასდროს რომ არ ავიწყდება, კიდევ ერთხელ მოიგონა.

ილია ნადარეიშვილს 95 წელს ვეტერანის მისცემს, თუმცა, ფაქტი ჯოუტია! “შეიძლება ითქვას, ომი ქართველებმა მოიგეს, 43 მარტო გენერალი იყო ქართველი.” – ჰყვებოდა იგი. მისი დალოცვა, ომი არასდროს გენახოთო, გზაზე ეწეოდით ეზოდან გადმოსულს.

73-ე 9 მაისმა 74-ეს დაუწყო ლოდინი. წლები თავისას შერება, იქნებ, პოლიტიკაც გადასხვაფერდეს, სახელმწიფო სტრატეგიაც და მსოფლიო გადანაწილებაც, თუმცა, მისი ქარცეცხლიანი დღეების სიმწარე ისტორიის ფურცლებს ფაშისმის დამარცხების სიხარულით შემორჩება.

და ერთიც – იმ დღეს “დენ პაბედი” აკლდა, თუმცა, არ აკლდა, ომის ვეტერან შოთა ტაბიძისა და მისი “ზაპოროვეცის” გახსენებამ ეს ლაფსუსიც ამოავსო.

ხოცა ქუთაისი კვირიკობას ოქმისობა

ზაჩრამენის გახიტი ქუთაისი ნმარხოზბრა, ზაჩრამენის შივნით ჟახიოური ჰორიციკა

თბა ბაგზნაშვილი

“სავარდო და სამაისო” მზისთვის მომღერალი გვირილების თეორ ქათი-ბში – ათასცხრასისანი წლების ადღე-ენილი ტრადიცია, “გიმნაზისტების” ქე-ელმოქმედებიდან 21-ე საუკუნის ქუთა-ისობამდ რეგიონის მთავარ სახალხო



საერთოდ ტყეებისა რა მოგახსენით, მა-გრამ მუხრანის ტყეში სამტრედიელებ-მა ისეთი ამბავი დაატრიალეს, გუბერ-ნატორის აპლუაში მოსულმა დლაქი-



დგენის სურვილი გამოთქვა. მისი მეუ-

ღლე ცნობილი კომპოზიტორი ვასილ კოკელავა კი ძველ, სამტრედიულ მოგ-ონებებზე, თამაზ ღუნდუასთან მეგობრ-ობაზე საუბრობდა. ემოციური იყო მი-სი და ანა აბზიანიძის შეხვედრა. როგ-ორც აღმოჩნდა, ჯერ ისევ “იმედში”, რომლის სულიწამდგმელი სწორედ თა-მამ ღუნდუა გახლდათ, პატარა ანა აბ-ზიანიძე მის ორ სიმღერას “საქართვე-ლო” და “იმერეთის” ასრულებდა. “უპ-ირველესად მოგესალმებით და მოგიკ-თხავთ სამტრედიელებო! ძალიან მიყვ-არხართ! ვისხენებ და მენატრება ის დრო, თამაზ ღუნდუასთან რომ ვმეგობ-რობდი. ჩემი ოჯახის უახლოესი ნათე-სავები სამტრედილაში ცხოვრობენ, ჩემი ქვისლია ფეხბურთელი რეზო წიქვაძე. მიყვარს თქვენი სამტრედილა და ის წლე-ები, უცებ რომ გასულა და ამ ქალაქს მაკავშირებდა.”



დღესასწაულად იქცა. ქუთაისში “ჩას-ტუმბრებული” იმერეთი სიყვარულიდან მონაბერი ქარივით დასტრიალდა თავს დროს ფეხაწობილ, “ინდუსტრიათა მშ-ენებელ” ამ უძველეს ქალაქს და “აი-დან” ქუთაისამდე ერთგულების ოდას უმღერდა. საუკუნეების გადასახედდან ძველი დიდების ნაშთად შემორჩენილი, თავს დაჰყურებდა ბაგრატი და გელა-თი, გიქმავი რიონი, იმ დღეს წყნარად მოდუნებენ. თეთრი ხიდის ქვეშ ელოდა “ინ პრელუზო-მეღუნითი” “პიასოს ბი-ტის”. “ციხფერყანწლების” სტროფებს ვერლიბრის რითმას უზამებდა პოეტე-ბის ხმაზე ამღერებულ. ქუთაისობდა ქე-თაისი თანამედროვეობას შერწყმული და ამავე დროს მთელი სიწმინდით შენახ-ული ქართული ტრადიციების ხიბლი-თ.

ლეიშვილი, თეონა გეგუჩაძე, იაკობ ჩხ-ეკვაძე, გია შუბლაძე. ხეზე კვეთა – შახი კახიანი, ამ “არაჩვეულებრივმა გა-მოფენამ” დამთავლიერებლების ინტე-რესი და პროფესიონალების განსაკუთ-რებული ყურადღება დაიმსახურა. კე-ლტურის სამსახურის უფროსი ნატალ-ია მანჯგალაძე, წინასწარი მზადებით და ორგანიზაციული საკითხებით გადა-დღილი, მაგრამ მაინც საქმიანი ულო-ცავდა ქუთაისობას მუხრანის ტყეში “თა-ვმოყრილი” იმერეთს და აღნიშნავდა, რომ “სამტრედილა ყოველთვის და წელსაც სი-ყვარულითა და რულენებით ემზადება ამ დღისათვის. გვინდა ბოლომდე განს-აკუთრებულად და საინტერესოები და-ვრჩეთ, გამორჩეულები ვიყოთ და ძალ-იან ფრთხილად ვარჩეთ საგამოფენო ნიმუშებსაც და მუსიკალურ ნიმუშებს-აც. წელსაც განსხვავებული სიტყვა ვთ-ქვით შემოქმედებითი თვალსაზრისით და ანა აბზიანიძის განახლებული “იმე-დის” შესრულებით ცნობილი მიუზიკლი “ჩხიკვათა ქორწილიც” შევეუსატყვიეთ მუხრანის ტყეს.”

მახტრული ნამუშევრებითა და ფე-რწერილი ტილოებით დაინტერესდა უნ-ივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, გე-ოგრაფიის დოქტორი გიორგი დვალიშ-ვილი, რომელიც ინიციატორი გახლდა-თ სამტრედილის ყველაზე მაღალ წერ-ტილს აკაკი შანიძის სახელი დარწყო-და. მისი ერთი სამეცნიერო კვლევა სე-ლაც სამტრედიას ეძღვნება და ამ მუ-ნიციპალიტეტს კვლავ კვლევის საინტ-ერესო წყაროდ თვლის.

მხატრული ნამუშევრებითა და ფე-რწერილი ტილოებით დაინტერესდა უნ-ივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, გე-ოგრაფიის დოქტორი გიორგი დვალიშ-ვილი, რომელიც ინიციატორი გახლდა-თ სამტრედილის ყველაზე მაღალ წერ-ტილს აკაკი შანიძის სახელი დარწყო-და. მისი ერთი სამეცნიერო კვლევა სე-ლაც სამტრედიას ეძღვნება და ამ მუ-ნიციპალიტეტს კვლავ კვლევის საინტ-ერესო წყაროდ თვლის.

დამაბულობა საქართველოს ბოლო წლების პოლიტიკაში, და ზოგადად, ქე-რთულ პოლიტიკაში, არავის უკვირს. როცა ქუთაისი ორმაისობას გვირილი-ბლა, რამდენიმე წლის წინ ქუთაისის ხმ-აურით “შეფარებულ” და შეფერებულ პარლამენტში, რომელსაც სკანდალები გადმოტანის დღიდან არ აკლდა, ქეფენ-ის პრეზიდენტი ამ ამპლუაში ბოლო ანგარიშს წარადგენდა. ამ უძველეს ქა-ლაქში ტრადიციას ვინ დაარღვევდა და პარლამენტს ცარეთ ქუთაისი ხმაურო-ბდა, პარლამენტს შიგნით – პოლიტიკა ქართული ასპექტებით.

მუხრანის ტყეში ისევ იღებდა ზე-მო და ქვემო იმერეთი ქუთაისისთვის. მუხრების ჩრდილში სათავისოდ შემორ-ავჯულ ადგილებში ყველა მუნიციპალ-იტეტს მისთვის დამანასიათებელი ნიშ-ა და ხასიათი ჩაეჭია.

“დიდი სიყვარულით ვუერთდებით სამტრედიელები ქუთაისის დღესასწაუ-ლს – “გვირილობას”. ქუთაისის ძლიე-რება და აღორძინება საქართველოს ძლი-ერებაა. იმერეთს დაელოცოს ქუთაი-სი!” – ამგვარი მილოცვის შემდეგ სა-მტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვა-ლერიანე ფოცხვერა სტუმრებს თავად უწევდა მასპინძლობას საკუთარი მუნი-ციპალიტეტისთვის შემორაკვეულ იმ ნა-წილში, სადაც სამტრედიელთა ნამუშე-ვრები გახლდათ გამოფენილი.

მერთან ერთად მასპინძლობდა სტ-უმრებს საკრებულოს თავმჯდომარე ნუ-გზარ ჯამბურია და აღნიშნავდა: “ეს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქა-ლაქის დღესასწაულია, სიყვარულის დი-დი ზემოდა, იმერელობის ზემოდა. მთავა-რია, ურთიერთგაგება იყოს და ქვეყან-აში ყველაფერი აეწყოთ, სწორად წა-რიმართება.”

დამთავლიერებელთა შორის წარმ-ობებით სამტრედიელი, ახალსოფლე-ლი პოეტი ქალბატონი ეიფერ ფახური-ძე აღმოჩნდა, რომელმაც მშობლიური რაიონთან საქმიანი ურთიერთობების აღ-

ალბათ, ამიტომაც დაივიანა, მაგ-რამ სანამ ლოდინით და სიციხით დაღ-ლილი “იმედლები” ანა აბზიანიძის ხე-ლმძღვანელობით ცამდე აწვდენდენ “ლაღე-რატომ არ ჩამოიარე, მე რომ დავიბარე...”, მერე ჩაახუჭუჭუნდენ, “ზე-მო მწველო, ჩემო მკვლელი, ჩემო ახ-ლო მქობელი...” და ერთმანეთს ბანს აძლევენ, “პარალი, ორუდილო დე-ლა...”, გუბერნატორის მოვალეობის შე-მსრულებელი გრიგოლ დლაქიშვილი ესტუმრა მუხრანის ტყეს. აქვე ისიც, რომ მაისის მზემ და ლოდინმა ისე “გა-ლახა” მუხრანის ტყის სტუმრები, სად-ღესასწაულო განწყობას სახლის მონა-ტრების განცდა შეაპარა.

მოვიდა და, მომღერალმა ჩხიკვაძემ შესაფერი პატივით მიუძღერეს გუბერ-ნატორს. ფრინველთა მეფემ თავად უმ-ეგზურა სიმღერ-სიმღერით და მერე ულ-ამაზუხია ჩხიკვა ქუთაისის ხელიც დას-ტყეეს თომას შეყვარებული ზაქარასთ-ვის. იქამდე, იმ დღეს გალაში გამომ-წყველულ სამტრედიის სიმბოლოდ ქე-ეულ მტრედებს თავისუფლება ანუქეს.

ეს ყველაფერი ოდიღანვე ერთ დიდ და უღრან ტყეში ხდებოდა. თანამედრ-ოვე საქართველოში უღრანი კი არა,

შვილმა სურვილი გამოთქვა, ეს მიუზი-კლი კიდევ ერთხელ ენახა და მოესმი-ნა ამ ბავშვების შესრულებით. მესხიშ-ვილის თეატრში, ადგილი უცვბ “შე-არჩია” ნატალია მანჯგალაძემ და და-სტურით დიმილთ მიდილო. ხმებში კე-რგად მომღერალი უკვე ყოფილი გუბე-რნატორი გივი ჭიჭინაძე რომ ყოფილ-იყო, იცოცხლეთ, ხმას შეაშველებდა და თან როგორ! მით უმეტეს, სამტრედიე-ლებთან სტუმრობდა ფოველთვის საამო-უნებს მას დედულების სიყვარულით.

გუბერნატორის მოვალეობის შემს-რულებელმა გრიგოლ დლაქიშვილმა კი აღნიშნა: “დღეს არა მხოლოდ ქუთ-აისის, იმერეთის დღესასწაულია და ვე-ელას გილოცავთ ამ დღეს! სასამონენ-ოდ გამაყვირებს ამ ბავშვებმა, დიდი საამონუნებით მოგუსმენდი მათ კიდევ ერ-თხელ. ყველაფერი მომეწონა თქვენს კუთხეში, ვიცი მთელი მუნიციპალიტე-ტი ქეფენისთვის საიმედო რომ გაქვთ.” გარდა “იმედისა”, სახელდასხელოდ გამართულ სცენაზე წარადგინეს სამტ-რედილა სალომე თევზაძემ, მარიამ თე-ვაძემ და ფოლკლორულმა ჯგუფმა “ალ-ილო.” და ყველა მათგანის გამოსვლას ოვაციები მოჰყვა. სპორტულ შეჯიბრე-ბებში ასახელეს მუნიციპალიტეტი თო-რნივე ადვილი, დავით ბაღდავაშემ და მძებმა ღემურ და ირაკლი ჯანჯა-ვეებმა.

მთავალ მაისობამდე გვირგვინე-ბად მოგებული გვირილებით დაემშვი-დობა მუხრანის ტყესა და აქაურ სანა-ხაობებს დანარჩენი იმერეთი. მაისიც ისევ მოვა და... შეხვედრის ადგილი უც-კვლეია, კვლავ შეინახავს იმერულ სი-თბოს “სავარდო და სამაისო”.

6064 ნანატრაშვილი

სამტრედიის პოლიციის ძეგლ შენობას 3 მაისს ხანძარი გაუჩნდა. დაახლოებით 11 საათისთვის მესამე საბრუნოს ფანჯრიდან გამოძვალა კვამლი პირველად პოლიციის თანამშრომლებმა შენიშნეს.

ქეთევან კახიანი, ექიმი-სტომატოლოგი: "ჩვენი, პოლიციის შენობა პირდაპირ უყურებს ძეგლი პოლიციის შენობას. დიდი ახალი მოსულები ვიყავით, მე-3 სართულზე კვამლი რომ შეგნიშნით. იმ წუთშივე დავერეკეთ 112-ში და ძალევე მოვიდა სახანძრო-სამაშველო სამსახური".



მეხანძრეებს პოლიცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადაც მოჰყვა. სახანძრო-სამაშველო სამსახურის მხარდახარ ხონისა და ქუთაისის ბრიგადებიც მუშაობდნენ. შემთხვევის ადგილზე, დაახლოებით, 6 მანქანა მოვიდა, რომელთა ეკიპაჟები თავდაუზოგავად ებრძოდნენ მე-3 სართულზე გაჩენილ ცეცხლს. ხანძრის ლოკალიზება 1 საათში მოხდა.

ხანძარი ძეგლი პოლიციის შენობაში



პოლიციის ძეგლი შენობა დღეისათვის სამტრედიის მერიის ბალანსზე იმყოფება. პოლიცია აღნიშნული შენობიდან ახალ შენობაში 2011 წელს გადავიდა. როგორც ადგილობრივები საუბრობენ, აქ დამეს უსახლკაროები აფარებენ თავს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას, თქმით, შენობა რამდენჯერმე გაიტანეს

აუქციონზე, მაგრამ არ გაიყვანა: "მომავალში კვლავ ვაპირებთ შენობის აუქციონზე გატანას, მაგრამ თუ არ გაიყვანა, დემონტაჟს განვახორციელებთ".

6064 ნანატრაშვილი

"შენების მოძრაობის" დამფუძნებელი და ლიდერი სამტრედიის რამდენიმე დღის წინ სტუმრობდა. თანამოაზრეებს დავით უსუფაშვილი ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკში შეხვდა, სადაც რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იმედა გოგავა "შენების მოძრაობის" კიდევ რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად სისხლის უანგარო ღონისძიების აქტებში მონაწილეობდა.

აქციის დამთავრების შემდეგ დავით უსუფაშვილმა და იმედა გოგავამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც მოძრაობის აქტივისტებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს პარლამენტის ექსთავმჯდომარემ ფართოდ მიმოიხილა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური-ეკონომიკური სიტუაცია და "შენების მოძრაობის" სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა. მან იქვე აღნიშნა, რომ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში "შენების მოძრაობა" აქტიურად ჩაერთვება, თუმცა ამ ეტაპზე პარტიის დაფუძნება არ იგეგმება: "შეუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ბევრი თანამოაზრე გვყავს, ბევრი ყოფილი თანაგუნდელი მომავალ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენს გვერდით ყოფნის მზაობას გამოთქვამს. პარტიის შექმნის პროცესი დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ორგანიზაცია ოფიციალურად საქართველოს პრეზიდენტი არჩევნის შემდეგ დაფუძნდება. რაც ახლავე შემიძლია გითხრათ, ეს არ იქნება დღემდე არსებული მარტივი ანალოგი, პირაქით, ჩვენ უკვე წელიწად-ნახევარია, ვმუშაობთ აბსოლუტურად განსხვავებულ ფორმატზე, რითაც საფუძველს დავუდებთ მხოლოდ იდეურ ერთობით შექმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მზად იქნება ხელისუფლებაში მოსასვლელად".

დავით უსუფაშვილმა მოისმინა ადგილობრივი ინფორმაცია, უპასუხა დარბაზის კითხვებს. შეხვედრის ბოლოს იმედა გოგავამ მადლობა გადაუხადა "შენების მოძრაობის" ლიდერს, დავით უსუფაშვილს, სამტრედიის სტუმრობისათვის. იქვე გამოთქვა მზადყოფნა, მსგავსი ტიპის შეხვედრები ინტენსიურ სამუშაო რეჟიმში მომავალშიც გაგრძელდება და იბრძობენ მინამდვილედ რეალურ ცვლილებებს არ განაზრცივლებენ: "შენების მოძრაობის" ადგილობრივ ორგანიზაციაში შეიქმნა ჩრდილოეთი კომისიები, რომლებიც სისტემურად მუშაობენ ყველა იმ საკითხზე, რასაც ადგილობრივი საკრებულო განიხილავს და რაც აგრეირებად აქტუალურია სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის. ამასთანავე, ჩვენ ვამთავრებთ ალტერნატიულ ბიუჯეტზე მუშაობას, სადაც უკვე დაფუძნებული უამრავი დარღვევა, რომლის შედეგადაც ხალხის ფული ხმარდება არა მათ მოთხოვნილებებს, პირაქით, მაღალჩინოსნების

დავით უსუფაშვილი სამტრედიის თანამოაზრეებს ხვდება



ინტერესებს, მათთვის ფუფუნების შექმნას. უახლეს დღეებში გვეგმათ ბრიფინგის მოწყობას, სადაც დეტალურად ვისაუბრებთ ყველა ამ დარღვევაზე. ცალკე საუბრის თემა მაღალჩინოსნების დაჯავაბები, რამაც სამტრედიის სერიული ხასიათი მიიღო და რაც შემთხვევითი ნამდვილად არ არის. ვთვლით, რომ ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც ნათლად ასახავს ჩვენს მუნიციპალიტეტში მართვის სუსტ სტილს. კორუფცია ამ ქალაქის რეალური პრობლემა გახდა. მოსახლეობისათვის აქტუალური მუნიციპალიტეტის პრობლემებზე ბრიფინგიდან ვისაუბრებთ".



ის იყავა ლენინგრადს

9 მაისთან დაკავშირებით ლენინგრადისათვის გმირულ ბრძოლებში, ბლოკადაში მონაწილე ჩვენი თანამემამულე, საპატიო რკინიგზელი გრიგოლ ზაფალია მინდა მოვიგონო. 77 წელი უანგაროდ ემსახურებოდა იგი რკინიგზელთა საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს. 1939 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს ბატონი გრიგოლი წითელი არმიის რიგებში. ლენინგრადთან ახლოს ქ. კრასნოვარდისკიში ჩაირიცხა მეთაურთა საარტილერიო სასწავლებელში. მეთურ კურსზე იყო როცა 1941 წელს თავს დაესხა საბჭოთა კავშირის ფაშისტური გერმანია. მოხსნეს სასწავლებელი კურსანტები და გადაიყვანეს კარელია-ფინეთის საზღვარზე ქ. ვიბორსკიში, რათა არ მიეცათ გერმანელებს ფინეთიდან ლენინგრადში შემოსვლის საშუალება. ფაშისტთა დიდმა ძალმა იძულებული გახდა მისი ნაწილი, დეტურებიან ქ. ვიბორგი და გამაგრებული კუნძულ კოივისტოში, ხოლო იქიდან ნაევების საშუალებით გადავიდნენ ქალაქ კრენტანდში, სადაც დაიწყო ლენინგრადის ბლოკადის დღეები. სამ წელიწადზე მეტი გაგრძელდა ბრძოლა ლენინგრადში. მტერმა 107 ათასზე მეტი ცეცხლგამქანი ბომბი, 150 ათასზე მეტი ჭურვი დაუმინა ლენინგრადს, მაგრამ მისი დამცველთა სიმტკიცე მაინც ვერ გატეხეს ფაშისტებმა. ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ლენინგრადის მისადგომებთან. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ასე უსაზღვროდ საყვარელი და ძვირფასი ლენინგრადი ბრძოლების ალში იყო გახვეული. ქვეყნის სხვა მრავალი ერის შეილება მათ ერთად ქართველი გრიგოლ ზაფალია იბრძოდა თავგანწირვით ლენინგრადისათვის. ბლოკადის გარღვევის შემდეგ იბრძოდა უნგრეთის მიწაზე. აღმოსავლეთ პრუსიაში და ბოლოს კენიგსბერგში მოუწია გამარჯვების დღე. 1945 წლის ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში და მშვიდობიან შრომის ფერხულში ჩაება. მუშაობდა საავაგონო დეპოში ცვლის უფროსად, პარალელურად თბილისის სარკინიგზო საინჟინრო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ დეპოს უფროსად აწინაურებენ. მისი ხელმძღვანელობით საავაგონო დეპო კიდევ უფრო გაძლიერდა და ტექნიკურ სრულყოფას მიაღწია. საავაგონო დეპოს შრომით მატანაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ გიორგის, იგი იყო რამდენიმე რაციონალური წინადადების ავტორი. გიორგის აწინაურებენ სამტრედიის განყოფილების საავაგონო დარგის უფროსად, ხოლო ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს რკინიგზელ ვეტერანთა ასოციაციის გამგეობას.

გიორგი ზაფალია დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით და ორდენით. იგი იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და საპატიო რკინიგზელი. გიორგი ზაფალიას დაიწყო არ უყურია, მის სახელს ატარებენ შვილები და შვილიშვილები.

ლევან ბაბიაშვილი

ტრენინგები ახალგაზრდა მმართველისათვის

სოფლად ახალგაზრდა მმართველის მხარდაჭერის პროგრამა _ "ახალგაზრდა მმართველი" განუთქვამდა საქართველოს მოქალაქეობის მქონე იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში. პროგრამა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერაა ინიცირებული და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამა დაფინანსებულია დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და ითვალისწინებს მხოლოდ ახალი ბიზნესის დაფინანსებას. ბენეფიციართა მიერ წარდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შედგენდეს არანაკლებ 10 000 ლარს. 11 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია "აგროსერვისის" წარმომადგენელი ოთარ ჭილაძემ ახალგაზრდა მმართველსა და დაინტერესებულ პირებს პროგრამის ირგვლივ ესაუბრა, განუმარტა მათ შეთავაზებული პროექტის სივრცე და დასმულ შეკითხვებსაც გასცა ამომწურავი პასუხები. სიღარიბის შემცირება, ახალგაზრდების ჩართვა კერძო ბიზნესში, ოჯახების, თემის გაძლიერება... ერთი სიტყვით, მრავალ სიკეთეს ითვალისწინებს პროგრამა "ახალგაზრდა მმართველი". ტრენინგს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები, ტარიელ ოჩხაიძე, ბაჭყალი მგვრილი და ნიკა კახანაძე ესწრებოდნენ.

ლევან ბაბიაშვილი



“გადღობა ასეთი იმუღაბისათვის”

ნათია ნაცვლიძე

დემოკრატიულ საქართველოში პირველმა მაისმა ახალი ისტორიული დატვირთვა შეიძინა. თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მეხუთე, რომელიც მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ამოქმედდება, დახურულ ადგილებში მოწევას კრძალავს. მათ შორის, ელექტრონული სიგარეტის და ჩილიძის. აკრძალავს შეყვება, ფაქტობრივად, ყველა დახურულ სივრცეს, ვარდა კერძო საცხოვრებელი ბინებისა (თუ ისინი თვისებად არ გამოიყენება), კაზინოებისა და სივარ-ბარებისა, სადაც მხოლოდ სიგარის მოწვევა დაიშვება და არა სიგარეტის, მოწვევა ასევე ფრთხილად შეინიშნება სისტემაში, სადაც ხელმძღვანელობას ინდივიდუალურად შეუძლია დახურულ სივრცეში თამბაქოს ნაწარმის მოხმარება დაუშვას

ან აკრძალოს. სამასხინძლო ბინებს-ობიექტი, რომელიც კანონს არ აღასრულებს, პირველ ჯერზე 500 ლარით დაჯარიმდება, ხოლო დაუმორჩილებელი მოქალაქე 100 ლარის ოდენობით. ფიზიკური პირის მიერ თამბაქოს მოწვევა მრავალბინიანი სახლის იმ ნაწილში, რომელიც საერთო ქონებაა (გესტიბიული, სადარბაზო, დერეფანი, კიბის უჯრები, სარდაფი, სხევი, სახურავი, ლიფტი და სხვა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა – დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

დავინტერესდით, როგორი იყო კანონის ამოქმედების პირველი დღე ადგილობრივ ხელისუფლებაში მყოფი პირებისათვის. მათგან ურთიერთისაგან განსხვავებული მოსაზრებები მოვისმინეთ



ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: “მივესალმები ამ რეგულაციის გამკაცრებას, უნდა მივჩივოთ საზოგადოებას, რომ სიგარეტი მაგნეზობალია და იმ დისკომფორტზე მეტად, რაც მწვევლებს შენობის გარეთ გასვლით ექმნებათ, მათი ჯანმრთელობის ბედი მალეულებს.”
რუგზარ ჯაბუბურია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: “სიგარეტს დიდი ხანია ვეწევი, რა თქმა უნდა, კანონმორჩილი აღმანი ვარ, არამც და არამც არ მივესალმები კანონდარღვევას, აკრძალვის დაწესება შეგუების თვალსაზრისით ძნელი შეიძლება იყოს, მაგრამ ძალიან კარგია. მწვეველი არასოდეს ითვალისწინებს არამწვეველის ინტერესს, ტრანსპორტშიც ხშირად ეწეოდნენ, შენობაშიც, მხოლოდ ერთხელ. შეგუების დროს გაველი 1-ლი მაისს შენობიდან მოსაწევად. საამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს თანამშრომლებში მწვეველთა რიცხვმა იყო. ცდილობენ, ამ მხენე ჩვევას გადაეწვიონ და ახერხებენ კიდევაც. ჩვენს მომავალ თაობას უფროსებმა კარგი მაგალითი უნდა მიეცეთ.”
დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: “მშენიერი პირველი მაისი იყო, მომეცა შანსი, მოწვევისათვის თავი დამეხებინა, ჩემს სამუშაო კაბინეტში რომ მოქალაქეს სიგარეტის კვამლი დახვდეს, უხერხულია. პირველი მაისიდან აღარ ვეწევი, ამ კანონმა მომცა ბიძგი, მოწვევისთვის თავი დამეხებინა. შეიძლება, საჯარო სამსახურში რომ არ ვმუშაობდე, ამხე აღარც მეფიქრა. მადლობა ასეთი იძულებითისთვის. ყველა ასაკის ადამიანმა ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს.”

ალექსანდრე ნაცვლიძე, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტი: “მივესალმები ამ კანონის გამკაცრებას, ჩემთვის, როგორც მწვეველისთვის, პირველი მაისი იყო ერთგვარი დისკომფორტის დღე, მაგრამ ეს იყო ასატანი დისკომფორტი.”
აკაკი ჭანჭალაიშვილი, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი: “კანონის ამოქმედებას მივესალმები, თავი ძალიან კომფორტულად ვიგრძენი გუშინ ქუთაისში, ერთ-ერთ რესტორანში, სიგარეტის კვამლს არ შეეუწუხებოვარ.”

ლევან ბუაძე, პოლიტიკური პარტიის “ახალი მემარჯვენეები” წევრი: “არ მივესალმები ამ რეგულაციების გამკაცრებას, რადგან არ არის სათანადოდ დახვეწილი კანონის აღსრულებაზე კონტროლის მექანიზმი. ორგანიზაციები ვერ შეხვდნენ მომზადებულ ბი ამ კანონს. მაგალითად, უპატრონო ძაღლების უფლებებს რომ იცავენ, მწვეველთა უფლებებს რატომ არ იცავენ? კანონებში ბევრ ადგილას მოწვევა არ არის ნებადართული, შეუთავსებელია ახარტი და უსიგარეტობა! რესტორნებში რომ აკრძალა მოწვევა, საპირფარეოში კი არ უნდა შევიდეს რესტორანში მისული მწვეველი სიგარეტის მოსაწევად, არამედ, ცალკე ოთახი უნდა იყოს მოსაწევად გამოყოფილი. უმარჯ მწვეველ მანდილოსანს ვიცნობ, რესტორნის წინ, კარებთან დამდგარი მწვეველი მანდილოსნები ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ. პირველ მაისს, ერთ-ერთ მანდილოსანს, რესტორნის წინ რომ ეწეოდა, გამგულმა ქალბატონმა მეუღლის წინაშე მიაყენა შეურაცხყოფა.”
მიხეილ ლეჟავა, მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: “მივესალმები კანონის გამკაცრებას, იქნებ სიგარეტს თავი დაეხებო.”
რამდენჯერ მოგიწიათ პირველ მაისს მოსაწევად შენობიდან გასვლა?
მიხეილ ლეჟავა, ნაცვლიძე, იქვე მჯდომმა დავით მუქერია იხუმრა, ზევით საერთოდ არ ამოსულაო. “მაგას მოვაკვლევინებთ თავს?” – გვითხრეს ოთახში მყოფმა სხვა საჯარო მოხელეებმა.
გოგი ლეჟავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: “ძალიან ნორმალური პირველი მაისი იყო, მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ, არც ამ კანონის ამოქმედებამდე მომიწევია როდესმე ჩემს სამუშაო ოთახში, ღია სივრცეში ვეწევი ხოლმე. დღეში სამი-ოთხჯერ მიწევს შენობიდან გასვლა. რომ თოვდეს და ყინავდეს, მაინც გარეთ გავდივარ. მივესალმები ამ მუხლის გამკაცრებას, ჩემო ბატონო.”
ტარიელ დვალაიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე: “აქტიური მწვეველი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს რეგულაციები მაინც დასახვეწია, რესტორნის მეპატრო

ნეს გამოკრული აქვს მოწვევის ამკრძალავი აბრა, ეუბნება შემოსულ ნასვამ ადამიანს: არ მოწიო. თუ ის კანონს არ დაემორჩილა, მაშინ პატრული უნდა გამოიძახოს. კლიენტს რომ დაიჭერს, მერე ის კლიენტი რესტორანში არ შევა. ჩემი კოლეგები, ბატონები გოგი ლეჟავა და ნუგზარ ჯაბუბურია ორივე აქტიური მწვეველია, ისინი ინტელიგენტები არიან და კანონს ემორჩილებიან.”

სამტრედიის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარს, “BIEQ END WHITE” ვესტუმრეთ. მია ჯულიანოვი, ბარმენი: “ნამდვილად მივესალმები ამ კანონის შემოღებას, აშკარად დავისვენე. სიგარეტის კვამლი რომ არ დგას ჩვენს სივრცეში. სხვათა შორის, მოქალაქეებმა, რომლებიც პირველ მაისს გვესტუმრნენ, თავადვე იცოდნენ ამ აკრძალვის შესახებ, ამიტომ ჩვენ მათთვის ახსნა-განმარტების მიცემა არ დაგვჭირვებია, მოსაწევად გარეთ გავიდნენ. მადლობა ღმერთს, დაუმორჩილებელი არავინ შემოსულა.” “სამტრედიის მაგნი” დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ვერ შევძელით ჩვენს მუნიციპალიტეტში მწვეველი თუნდაც ერთი ქალბატონის კომენტარის მოპოვება.



“არა თამბაქოს”

“თამბაქოს შესახებ კანონში” ცვლილებებს და პირველი მაისიდან ამოქმედებულ აკრძალვებს” მეთუ საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის “თავისუფლება” წევრები საინტერესო ღონისძიებებით გამოეხმაურნენ. მოეწყო შეხვედრა სკოლაში შეკრებილი საბავშო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. ამ შეხვედრის ინიციატორმა, კლუბის კურატორმა, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ეკატერინე ფოცხვერია არასრულწლოვნებს 2018 წლის პირველი მაისიდან ამოქმედებული კანონი გააცნო. მოსწავლეებმა გამოთქვეს საინტერესო მოსაზრებები, გულწრფელად ისაუბრეს თავიანთ დამოკიდებულებებზე ამ კანონთან და გამოხატეს სურვილი კანონის მხარდამჭერი აქტივობის ჩატარების შესახებ. 4 მაისს სამოქალაქო კლუბელთა ჩართულობით სკოლაში მოეწყო ფლემ-მობი სახელწოდებით “არა თამბაქოს”.
როგორც “სამტრედიის მაგნი” საუბარში ეკატერინე ფოცხვერია განაცხადა, ამ ღონისძიების მიზანია მოსწავლეებში სამართლებრივი კულტურის ამაღლება, კანონის გაცნობის, ანალიზის და მხარდამჭერი ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

ნათია ნაცვლიძე





აპრილისთვის ყალბი მოზაინილი ქართველობა!

თბა ზაზუნაშვილი

რითმის, რიტმის და როკების სინთეზს აყალიბებენ სასწაულებს ახდენდა. ადრენალინი სხეულში, გრძობა გულში, სცენა სცენაზე და დარბაზი დარბაზში გვიღარ ეტეოდა, “ლილე” ცეკვა-ვდა! “ქართლოსიანნი” უწოდეს მოძრაობების ერთობლიობას საუკუნეების სულიდან ამოთქმული ქართული ფოლკლორით რომ ამოიტანეს. ერთი სიტყვა მთარგმნის საქებრად ნათქვამი – ამოცეკვესო! დიახ, ამოცეკვეს ყელში მობჯენილი ქართველობა!

“ხელოვნება იმიტომ არსებობს, რომ ჭეშმარიტებისგან არ დავიდეთ! მაგრამ ეს არის ჭეშმარიტებისა და ხელოვნების ერთგვარი სინ-

როგორც ყველა წინა პროექტის, ერთ კომპოზიციად შეკრული ამ სანახაობის ავტორი და რეჟისორი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა მხეიძეა. ქორეოგრაფიული დახვეწილობა მთავარმა ქორეოგრაფების გელა თურმანიძისა და მაკა მეფარიშვილის დამსახურება გახლდათ. მათთან ერთად სტაჟირი ქორეოგრაფი ომარ სანიციძე შრომობდა. მუსიკალური მონახაზი გონა ჩოგოვაძეს ეკუთვნოდა. მოცეკვავეების ჩაცმულობაზე მანია ვაშაიძემ იზრუნა.

ხმაურიანი ღონისძიებები არ უკვირთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. ღირექტორი ტატა გოგუაძე თანამშრომლებთან ერთად ყველაფერს აკეთებს, ისეთ პატარა მუნიციპალიტეტში, როგორც სამტრედიას, შემოქმედებითად და ინტელექტუალურად სრულყოფილი ცხოვრება ჰქონდეთ ახალგაზრდებს.

შემოქმედებაში წერს, რომ ქართულ ფოლკლორში მანიფესტირდება სიდიადის, სიფაქიხის, მშვენიერების ერთგვარი სინთეზი. ეს ყველაფერი თავისი სიდიადით ჩვენ აქ ვიხილეთ. მგონი, ილიას ოცნება აღსრულდა, ბაზალეთის ტბის ძირში მდგარი აკვანი დაირწა და ეს ის თაობა იქნება, აწმყოსა და მომავალს რომ შეაკავშირებს და იბერეას არა მხოლოდ უტოპიურად, რეალურად გააბრწყინებს!”

ამგვარი სანახაობა “წოხონების” და გოგი დოლიძის გარეშე როგორ ჩაივლიდა და იგი სცენაზე იდგა სიტყვებით: “ასეც არ შეიძლება, სული უნდა მოგვათქმევინოთ, ბატონებო! მინდა შეგახსენოთ დათა თუთაშხიას ცნობილი ფრაზა, ჭკვიანი კაცის მოფიქრებული უნდა იყოს ეს ყველაფერი! ბავშვის ერთ ცრემლად არ ღირს ყველაზე დიდი მსოფლიო ომებიო. მაშინ რა არის ის საზომი, რითაც უნდა გაიზომოს აქედან გასული ალტაცების, ნეტარების, მადლიერების, სიამაყის ტალღა, რომელიც დღეს მთელ რაიონს მოეფინება. პატარა ქალაქი ჩაიძირება ამ ემოციაში!”

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მადლობას უხდოდა “ლილეს” მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობაში შემოტანილი ამ დიდი მუხტისათვის. ამგვარი სიამოვნება არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება “ლილესგან”. 10 წელია ალამაზებს ეს ანსამბლი სამტრედიას. 10 წლის წინ მისი ხელმძღვანელები გაცილებით ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარ თავზე უდიდესი შრომით, ასეთი ბავშვების აღზრდა, ამგვარ მიღწევებზე გატოლება შეძლეს.

“მადლობა იმისთვის, რომ ამ ნახევარი საათის განმავლობაში ანტიკური ხანიდან დღემდე ამოცეკვეთ ქართული სული!” – რაიონული პრ-



ოგურორის მალხაზ გეწამის ალტაცება ამ სიტყვებით გამოიხატა.

სამტრედიის ყოფილი მაჟორიტარი, პარლამენტარი გაგა კახიანი “ლილეს” ძველი მეგობრობის ხათრით გულშემოტკივრობდა. მისთვის უცხო არ გახლავთ ფოლკ-თეატრის

ნაბიჯია. გაართვა თავი “ლილემ” და წარმატებითაც. მადლობა მათ!”

“10 წლის ნამუშევარია და გაზრდა, წინსვლა ეტყობათ ამ ბავშვებს.” – აღნიშნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ავთანდილ ჩაჩავამ.

პატარა შენიშვნების მიუხედავად მოცეკვავეების პლასტიურობასა და დახვეწილობას ხაზს უსვამდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეჟისორი ზურაბ ხვედელიძე.

“ჩვენ დღეს ვიხილეთ განსხვავებული სანახაობა. ვისურვებდით მეტ თეატრალიზებას, მაგრამ რაც ვნახეთ, ვერაფერს დავუწუნებთ! ზოგადად სიფრთხილე გემართებს ფოლკლორის განთამებლობასთან. ვისურვებდი ნამდვილ მუსიკაზე, ფოლკლორზე აღგვეწარდა მომავალი თაობა, შეგვევარება მისთვის ის, რაც ერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს. “ლილეს” ხელმძღვანელებმა ეს მოახერხეს!” – ამბობდა ზურაბ გუგუშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეჟისორი.

ემოციებად ქცეული სანახაობით 10 წლის “ლილე” მომავალ “ლილესობამდე” დაგვემშვიდობა.



თეზი.” – ამ სიტყვებს ცოტა მოგვიანებით მამა ანტონი იტყვის, მანამდე კი...

“ქართლოსიანნი” მეოთხე პროექტია “წარსულის მომავლების”, “იავნანას” და “ამოდის, ნათებებს” შემდეგ. ერთმანეთს არც ერთი არ ჰგავს, მხოლოდ მხურვალე, დაუმორჩილებელი ქართული სული აქვთ საერთო. და კიდევ გამართლებული ამბიცია ყველა მათგანის ხმამაღალ განაცხადზე. კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის გადასახედიდან ცხენის ფლოქვით გათელილი საუკუნის ნატერფალებით, არგონავტებისა და მედეას ზღაპრული სინამდვილით დღემდე მოსული გმირობის და ვაჟკაცობის ამბები მზედ დადგეს სცენაზე.

საკუთარი 10 წლის იუბილეს ნაკლებ სანახაობას ვერც მიუძღვნიდა ფოლკ-თეატრი “ლილე!” და კიდევ ერთი მიძღვნა – იგი ხონი-სამტრედიის ეპისკოპოს მეუფე საბასადმი მიძღვნილი საღამო გახლდათ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ღონისძიებათა ორგანიზატორი ნატა ჯიქია, რომლის ხელწერაც ეტყობოდა საღამოს, და მსახიობი ირაკლი კვერხელიძე სცენიდან დარბაზს წამყვანების ამპლუაში მასპინძლობდნენ.

“მე მარტო ემოცია ვარ დარჩენილი!” – ვინ იქნებოდა ამ ფრაზის ავტორი, თუ არა მამუკა მხეიძე და მარტო ემოცია ეპატიჟებოდა სცენაზე საპატიო სტუმრებს, კომპეტენტურ საზოგადოებას 10 წლის “ლილეს” სანახავად დედაქალაქიდან ჩამოსულებს.

მეუფე საბასადმი მიძღვნილი ღონისძიების ქება მისივე სურვილების გაუძღვრებით მამა ანტონმა დაიწყო; “ეს არის სწავლება ადამიანის შესაძლებლობების ირგვლივ. იგი მოიპოვება ღვთის ხატად და მსგავსად. ჩვენ ვიხილეთ ჭეშმარიტებისა და ხელოვნების ერთგვარი შერწყმა. გრივოლ რობაქიძე თავის მრავალმხრივ



მიღწევები. იმ დღესაც აღნიშნავდა: “ბოლო ხუთი წელია, კონცერტი არ გამომიტოვებია, “ლილე” იმსახურებს ასე უგულშემოტკივრო მას. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად ამჯერადაც ჩამოვედი, ვერ გამოვტოვებდი, ვერ მოვივლებდი ამ ახალგაზრდების ნახვის სიამოვნებას. თანამედროვე მუსიკისა და ტრადიციული ცეკვის ელემენტების სინთეზი საკმაოდ რთულია. ეს ხმამაღალი განცხადება და რთულად გადასადგმელი



ფესტივალი მსოფლიო ქორეოგრაფიის დღეს მიიქცვნა

სამტრედიის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მსოფლიო ქორეოგრაფიის დღესთან დაკავშირებით ქორეოგრაფიული ფესტივალი ტრადიციულად გაიმართა.

მასში მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებულმა 10-მა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა. წინა წლებთან შედარებით ფესტივალი წელს გაცილებით მასშტაბური და მრავალფეროვანი იყო.

მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიან ფოცხვერიამ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს მიმდინარე წელს გაწეული შრომისა და წარმატებებისათვის საჩუქრად ფულადი ჯილდოები გადასცა. ფულადი ჯილდო გადაეცა ასევე ლეაწლ-მოსილ ქორეოგრაფს, სამტრედიის კოლორიტს, გიორგი კეშელავას.

ერთი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე 3 მაისს ერთმანეთს ენაცვლებოდა ანსამბლები: "იმერი" (ხელმძღვანელი სოსო შენგელია), "შევარდნი" (ხელმძღვანელი ალექო ბოხუა), "სამა" (ხელმძღვანელი ჟორჯო პაქსაშვილი), "შოუ ბალეტი" (ხელმძღვანელი ზაქარაია), "მერცხლები" (ხელმძღვანელი დავით ჯულაყაძე), სტუდია "ელეგანტი" (ხელმძღვანელი თონა კაცაძე), "იმედი" (ხელმძღვანელი ზვიად ვამაყაძე), ფოლკ-ოპერა "ლილე" (ხელმძღვანელი გელა თურმანიძე), "სამტრედია" (ხელმძღვანელი მერაბ პაქსაშვილი), "ზრდა მოცეკვავისა" (ხელმძღვანელი დავით მელქაძე), "ფარი" (ხელმძღვანელი გენადი გრიგოლა). ფესტივალზე განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა ანსამბლ "იმერის" წევრებმა, რომლებმაც ცეკვა "ქართული" შესრულეს. მაყურებელი მოხიბდა ასევე ანსამბლ "სანავარდოს" შესრულებულმა ნომერმა, ცეკვა "ვაზბეგური". შევასწავნებთ მკითხველს, რომ "ფარი" სულ ცოტა ხნის წინ შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორის, ბეჟან გოგოას ორგანიზებით დიდ წარმატებას მიაღწია გერმანიაში ქალაქ დიუსბურგში გამართულ ქორეოგრაფიულ ფესტივალზე.

წლეუანდელი ტრადიციული ქორეოგრაფიული ფესტივალი დიდხანს დაამახსოვრდება სამტრედიელებს, ითქვამს, რომ მომავალში იგი უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება.

ნინო ნახატიანი



“ვარდის ფურცლოვის ნიჟანი არის და დრო ახალი კამეანისა”

ნინო ნახატიანი

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში “ვარდის ნიჟანი ბიბლიოთეკა” სამტრედიის №1 საქალაქო ბიბლიოთეკაში საინტერესო ღონისძიება მოეწყო სახელწოდებით “სიყვარული და ლიტერატურა”. ბიბლიოთეკის მკითხველები არ აკლია, არც ღონისძიებას აკლდა პუბლიკა. შეკრებილთ მისაღებად ბიბლიოთეკის დირექტორი, ნანა გოგიშვილი და აუდიტორიას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრები წარუდგინა. სწორედ ისინი გვესაუბრნენ მის უდიდესეულ სიყვარულზე, მის ყველა სახესხვაობაზე. წიგნები ყველაფერი ადამიანებია, გვითხრეს ახალგაზრდებმა, ბიბლიოთეკის თაროებიდან როგორც ახალი, ისე სიძველეშეპარული წიგნები გადმოიღეს და პატრიოტული თუ სატრფიალო ლირიკის შედევრები წაგვიკითხეს. პოეზია ხომ სხვა არაფერია, თუ არა სამშობლოსა და სიყვარულზე დაწერილი ლამაზი ლექსები. ახალგაზრდებმა ასევე მოგვითხრეს ლიტერატურის უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე ადამიანის შინაგანი სამყაროს ფორმირების პროცესში. ყურადღება გამახვილეს წიგნიერების როლსა და მნიშვნელობაზე. შოთას ხელიხელსაგომანებელი პოემიდან უამრავი ლამაზი სტროფი წაგვიკითხეს. კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მიჯაჭვულ თაობას წიგნთანაც რომ არ გაუწყვეტია კავშირი, ამაში ღონისძიებამ ნამდვილად დაგვარწმუნა. ერთერთს შეენაცვლა ბესარიონ გაბაშვილის “ტანი ტატანი” და გოგოას “ვიჟანის პაემანი”. მუსიკალური ნომრებიც მიეძღვნა სიყვარულის თემას.

ღონისძიება “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩაიამ შეაფასა, მან მუშაობა შეუქო მოსწავლეთა პარლამენტის წევრებსა და ამ პარლამენტის წევრს, თამუნა ჯინჭველიძეს, რომელიც მოსწავლეთა პარლამენტის ღონისძიებათა უცვლელი წამყვანია. ლევან გაბეჩაიამ ღონისძიების მონაწილეთა ამაღლებულ პოეტურ განწყობას შეუერთდა, ახალგაზრდებს სამტრედიელ პოეტ ნოდარ ადიუშვილის შესახებ მოუთხრო და მისი შესანიშნავი ლექსით დაასრულა გამოსვლა. მოსწავლეთა პარლამენტის კურატორმა და ახალგაზრდების დიდმა დამკვიდრებელმა, მრავალმხრივ საინტერესო ქალბატონმა ელიზ ანკვაბამ განაცხადა: “ მადლობა ამ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც ასე სათუთად ელოდიან ვებით აქაურობას წლების განმავლობაში, კარგი იქნება, ახალგაზრდებო, თუ

გააგრძელებთ მეგობრობას წიგნებთან, ჯერ გადაუშლელი წიგნებიც გადაშალეთ ხოლმე, ნამდვილად არ უნდა ვიფიქროთ უფროსებმა, რომ ქვეყანა იქცევა და ცუდი თაობა მოდის, ძალიან პატრიოტი და ეროვნული სულისკვთებით განმსჭვალული მომავალი თაობა გვეყავს,



სამართველო-ამერიკა-სამართველო

ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე (ალეო) ბანმაყას კარგად იცნობენ სამტრედიისში.

მწელიდ თუ ვინმე დაიჯერებს, 88 წელი რომ მოიტოვა უკან.

გასული წლის შემოდგომაზე იგი ამერიკელ შვილიშვილს დაბადების დღეზე ეწვია და შობაბეჭდილებებით დახუნძლული უკანვე დაბრუნდა.

ზედმიწვევითი სიხუსტით აქვს მას აღწერილი ამერიკაში გატარებული ყოველი დღის მნიშვნელოვანი ამბები, ნიუ-იორკში კენედის სახელობის აეროპორტში ჩატურნიდან დაწვებული, საქართველოში გამოძვარებადღე.

მწვანე ტყის ტბაზე სიძის, დავიდის ნავით გასეირნება, თევზაობა, პატარა შვილიშვილ, ქეთრინთან ერთად მისი ასაკის ბავშვებთან ტანვარჯიშის გაკეთებულ ბაბუს ამპლუაში მისვლა, ექსკურსია ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად ოკეანის პირას, ქალაქ პოინტ პლემანტში.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებისას დაღუპულთა მემორიალის მონახულება...

ერთი სიტყვით, ამერიკული ყოფითა და ამერიკელების ცხოვრებით აღფრთოვანებული დაბრუნდა ბატონი ალექო საქართველოში, დაბრუნდა და რამდენიმე ფოტოც გვაჩვენა ბაბუა-შვილიშვილის თბილ ურთიერთობებს რომ ასახავს.

ლევან გაბეჩაიანი



“და თუ გოლომდე ტყვია დაინდობს, თუ გაზაფხულს შეხვდებით ერთად...”

ნათია ნაცვლიძე

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მეტესე კლასში არიან და არც მირზას “შეთანთქავი სტრუქტურების” – “შე შენი თემები დამაბრუნებენ...” ფასი იციან და არც ლადო ასათიანის “საღაჯობოს” გაზარდა ძაღვით ჯეროვნად, ხმებში ფოლადი მანც ვარდები. – “შორს სახელი გამიფარდა, შორს წასულან ჩემი ხმები, მე თუცი წლის გმირი ვარ და...საუკუნე მიმატეს მხრებით”. – შემართებით დეკლამირებენ დედის ძველიან შეკრებილი მეთორმეტე საჯარო სკოლები თბილისში წასული პოეტების: მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტვარდისა და ლადო ასათიანის ლექსებს.



რის, შელიოს, ედგარ პოს და სხვათა შემოქმედება. ამავე წელს ბელორუსში გარდაიცვალა მირზა გელოვანი, რომელიც სამიო სასაფლაოზე დაკრძალულია.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ონიანიძემ მადლობა გადაუხადა როგორც ღონისძიების მომწესობ პედაგოგსა და მოსწავლეებს, ისე ყველა მოსულ სტუმარს.

ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიან ფოცხვერიამ მიმართა: “მადლობა ბავშვებო და პედაგოგებო, რომ არ იფიცვებით წარსულს, 9 მაისი არის გამარჯვების დღე. ეს სასიქალო პოეტები ამ ავბედით ომში დაიღუპნენ, თქვენი ბავშვების, ჩვენი მამების თაობა იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო 300 000-მდე ქართველი დაიღუპა, პოეტებმა კალმები გვერდზე გადადეს და საერთო მტერს შეებრძოლეს.”

სამტრედიის მერის მოადგილე დავით ბახტაძე: “აუცილებლობად მიმაჩნია, ახალგაზრდებს იცოდნენ ქვეყნის ისტორია, ვესწრებით მეორე მსოფლიო ომში დაღუპული პოეტებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ღონისძიებას, მონარული

ვარ, რომ ასე არიან გათვითცნობიერებული ბავშვები. ამ ომში 700 000 ქართველი მონაწილეობდა, დაიღუპა 300 000. ახალგაზრდებმა უნდა გაიხსრონ ის ღირებულებები და ფასეულობები, რის გამოც ჩვენი თანამემამულეები იბრძოდნენ ამ ომში სხვა ერების წარმომადგენელთა მხარდამხარ. მადლობა ამ ღამეში დღის შემოქმედთ.”

ალექსანდრე თევზაძე: “საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი: “ჩვენისთანა მცირერიცხოვანმა ქვეყანამ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში. გმირობის ასეთი მაგალითები ადამიანთაგანებს ქართველებს და მუდამ განაწვობს სამშობლოს სადარაჯოზე დგომისათვის, დღევანდელმა ახალგაზრდებმა კარგად უნდა იცოდნენ სამშობლოს ისტორია, იმ პოეტების ბიოგრაფიები, რომელიც გვირუდვდა და ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, მადლობა მე-12 სკოლას, ასე ღამეზად რომ წარმოადგინეს ჩვენი სასიქალო პოეტების ჰეროიკული სულიკეთება, ეს არის ის, რაც პატრიოტი თაობის აღზრდას უწყობს ხელს სამშობლოსად.”



და ლიტერატურის შესანიშნავმა პედაგოგმა მზეინარ ბაღდავაძემ მოსწავლეებს დედის ძველიან მოიყვანა. პატარებმა აქ წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია, რათა უფრო შეძლებოდათ ახალგაზრდა პოეტების პატრიოტული თავგანწირვისა და გმირობის აღქმა თუ გააზრება. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებას წევრმა მოუსწრო, მაინც არავის მოუცვლია ფეხი ადგილიდან. განსაკუთრებული დეკლამატორული ნიჭი გამოავლინა ლიკა შენგელიამ. მან ადგილობრივი ხელოსუფლების პირველი პირების განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურა. ამ პოეტთა ბიოგრაფიები ერთმანეთს გადაავაჭვა განგებამ. გიორგი ნაფეტვარიანის სახელი სამტრედიასაც უკავშირდება. მას 1935 წელს უმუშავებია სამტრედიის პედაგოგიურ ტექნიკუმში. გიორგი 1936 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუქმდებოდა ლადო ასათიანს. ისინი მეგობრობდნენ ასევე თბილისში მოღვაწე ახალგაზრდა პოეტებთან, ალექსანდრე საჯაიასთან და მირზა გელოვანთან. ამ პერიოდში ალექსანდრე საჯაია და ლადო უკვე მძიმედ იყვნენ ჭლექით ავად. გიორგი ნაფეტვარიანი ვირიის ფრონტზე გადასროლეს, 1942-ში იგი სევასტოპოლის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა, საფლავი უცნობია. 1944 წელს დაიღუპა ალექსანდრე საჯაია, შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელსაც თარგმნილი აქვს შექსი-

ოდა ქუთაისს

ხშირი მუნხარით ნაბადოსხმული, საღორიასთან ქარის ბინა ხარ, რიონი სისხლად გიჩქეფს მარღვებში, ჭომა, გეგუთი, საფინხა ხარ, გორადან ლაღი გადმოსახედი, ტურფა გელათი, სათაფლია ხარ, ქართულ კუთხეთა ხარ გზასაყარი, მძობის ანზანი, “აი, ია” ხარ. აქილეუსისა და იაზონის, პერაქლეს მითზე დიდი ხნისა ხარ, მუდმივ ბრძოლებში მტკიცედ ნაწრთობი კავკასიური ჰერალდია ხარ, ია, აია თუ ქუთაია, კოლხეთის ბანი, მარად ღია ხარ, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი, მხიარულების გარანტია ხარ. იმერთ ქალაქი, კოხტა ალაგი, გმირთა ბანაკი, ბურჯი, რეინა ხარ, აღმამენებლის და თამარ მეფის საყუდებელი, წმინდა ბინა ხარ, ქართული სულის, გენის სამჭედლო, რწმენის სამრეკლო, ბოლის მინა ხარ, მზე და მთვარე ხარ, წვიმა და თოვლი, თვით სიცოცხლე ხარ, კლდე და ია ხარ.

აკაკი რუხაძე

ამაღლება იესო ქრისტესი

აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა თავის მოწაფეებს და უთხრა, არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან, რადგან მალე სულიწმინდა გადმოვიდოდა მათზე.



შემდეგ ამისა უფალმა იესო ქრისტემ წაიყვანა ისინი ელეონის მთაზე, აკურთხა და გამოეთხოვა, თავად კი ზეცად ამაღლდა.

ცას შეპყრებდნენ მოწაფეები, როცა მათ ანგელოზი გამოეცხადათ და აუწყა, რომ ზეცად აღმავალი უფლის მხილველნი უფლის ხელმძღვრედ მოსვლასაც იხილავდნენ თავის დროზე.

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამაღლება უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია, წელს იგი 17 მაისს აღინიშნება.

შესაბამისი მსახურება წარმოებს ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში. *ლუკა მკაბუჩაძე*

მადლობა

ქართველი ზოგადად ქველმოქმედია და სიკეთის კეთება გუნში აქვს, ოდიოგანვე მოსდგამს. ამაში ხელს უწყობს და უდიდესი წვლილი მიუძღვის ქრისტიანობას. უფალი ხომ მოყვასის სიყვარულს, თანადგომას და უდიდეს სიკეთის თესვას დებს თითოეულ ჩვენგანში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კეთილი ნაყოფის საწინდარია. ადამიანის ცხოვრება მოქცეული და შებოჭილია ამოუბის მარწუხებით რაც ბევრ სიხარულთან ერთად ბევრი ტკივილის მომტანია ხოლმე, მაგრამ როცა შენთან უფალია, ის გვაძლევინებს და გვაძებნინებს უკიდევანო ლაბირინთიდან გამოსვლისთვის გზას და გვეზმარება იმ ჯვრის ტვირთვაში, რომელიც დაგვკაცის ჩვენივე ნებისდა გამომდინარე ამ წუთისოფელმა. მაგრამ წუთისოფელში ცხოვრება ხომ გამოცდაა, რომლის პირნათლად ჩაბარების შემთხვევაში გველევა სიცოცხლისა და მარადიულობის ჯილდო ბოროტებაზე გამარჯვების სიკვდილითა სიკვდილისა დამორეუნიველი. ჩემი ცხოვრების ხაზი დაუკავშირე და ცხოვრებისეული ჯვრის თუ ცხოვრებისეული უღლის ტვირთვაში შეეცედად რომ დავნმარებოდი სასულიერო პირს, რაც იმ პერიოდში ეს ყოველივე გაცნობიერებული არ მქონდა. მაგრამ როცა უკვე გავაცნობიერე და როცა ის ყველაზე მეტად მჭირდებოდა და სჭირდებოდა ჩვენ შთამომავლობას, მაშინ წაიყვანა უფალმა. აი, მაშინ ვიგრძენი პირველად, რა იყო სულის ტკივილი, რადგან აღმოვჩნდი სულ მარტო ამ უსწორმასწორო წუთისოფლის ამარა, მაგრამ უკვე შევისწავლე და ცხოვრებამ მრავალგზის დამანახა რომ უფალი დიდად მოწყალეა. როცა რწმენა შენშია, თუნდაც, ცერცვის მარცვლისოდენა, მარტო არასდროს დაგტოვებს და ყოველთვის გამოძენის გზას შენამდე მოსასვლელს და გიგზანის კიდეც სხვადასხვა კეთილისმყოფელს და ენერგიას გმატებს. მე გამიძნელებოდა მარტო ასევა გოლეგოთაზე. მისკენ მიმავალ გზაზე მრავალჯერ შევისვენე უფალთან ერთად და რომ არა ის ადამიანები, რომლებიც გვერდში დამიდგნენ იმ განსაცდელის ჟამს, იმედსაც და ვკარგავდი და გოლეგოთისკენ მიმავალი ჩემი ჯვარითვე დავეცემოდი და ვერასდროს შევძლებდი წამოღგომას. მე მინდა უდიდესი მადლიერების გრძობა გამოვხატო ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს მიტროპოლიტ მეუფე საბას (გიგობერია) და ეპარქიის ყველა მღვდელმსახურის, მრევლის, წევრებისა თუ იმ რიგითი მრავალი ადამიანების მიმართ (სახელსა და გვარს აღარ ჩამოვთვლი, ვინმე რომ არ გამომრჩეს), რომლებმაც გამოიჩინეს დიდი ყურადღება და დახმარების ხელი გამომიწოდეს ყველა იმ კრიტიკულ მომენტში, როცა მე და ჩემ ოჯახს ეს ძალიან გვესაჭიროებოდა, ეს იყო მატერიალური თუ სულიერი კუთხით. მჯერა, რომ ჩემდამი, თუნდაც, წყლის ერთი წვეთისოდენა სიკეთის მეტეხელს უფალი უამრავი სიკეთით დააჯილდოვებს მაგრამ მინდა დავიტოვო იმედი რომ მეც შემაძლებინებს ალბათ რომ ასმაგად დაუპოვებო ჩემდამი გამოხატული თანადგომის სამაგიერო. მჯერა, რომ სიკეთე გადაარჩენს საქართველოს, თანადგომა გაგვადიერებს და სიყვარულსა და სიკეთეში გაერთოსულოვნებულნი გადავარჩენთ ერთმანეთს და გადავარჩენთ ჩვენ ქვეყანას. ამინ!

სომხურული და კატოლიციზმით გაღვთიანებული მარინა კოხტაძე

დავით დვალისვილი პარსკვლავი გაუხსნეს



დავით
დვალისვილი
70

ლევან ბაბქინაძე

თბილისში მივდივართ, ჩვენს თანაკლასელს ვარსკვლავს უხსნიანო, ვეითრა ჩვენმა უფროსმა მეგობარმა, ბატონმა მოგელი კუპრეიშვილმა. მისი თანაკლასელი კი აღიარებული მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ბატონი დავით დვალისვილი აღმოჩნდა.

სამტრედიის ყოფილი 23-ე საშუალო სკოლის შემდეგ დავით დვალისვილმა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა. თე-

ატრში 100 ხოლო, კინო და ტელევიზიებში 30-ზე მეტი როლი განასახიერა.

წლების მანძილზე დავით დვალისვილი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მუშაობს. სწორედ ამ თეატრის მესვეურებმა და ქვეყნის მასშტაბით ცნობილმა ადამიანებმა, კოლეგებმა გაუხსნეს დავითს ვარსკვლავი მისი დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით და აქტიური სამსახიობო მოღვაწეობისათვის.

“საოცრად ბედნიერი და ამაყი ვიყავი, როცა ვუშხერდი, თუ როგორ დააფასეს დედაქალაქის



საზოგადოებამ, თეატრმა, ხელოვნების ქურუმებმა ჩვენი დათო, კიდევ უფრო ამაყი, როცა ეროსი მანჯვალაძის სახელობის სამტრედიის კულტურის ცენტრის დირექტორმა, ვეფხია ნადირაძემ სამტრედიის მუნიციპალიტეტის თავკაცთა და სამტრედიელთა სახელით იუბილარს საჩუქარი გადასცა გულთბილ მოკითხვასთან ერთად.

“ერთ კლასში ვსწავლობდი მე და დათო. ჩვენი პირველი კლასის პედაგოგი, ქალბატონი თინა ალავეძე იყო, კეთილი, მეგობრული, ალალ-მართალი ბიჭი იყო და ასეთივე დარჩა დღემდე”. –

გვეუბნება ბატონი მოგელი, თბილისურ შთაბეჭდილებებს გვიხიარებს და თან 1956 წლის მაისში პირველ კლასში გადაღებულ ფოტოს გვიჩვენებს, რომელზედაც წინა რიგში მარცხნიდან პირველი დათო დვალისვილია გამოსახული.

“სამტრედიის მაცნე” მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით იუბილესა და აღიარებას ულოცავს ბატონ დავითს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.



სულიკო ლავარაშვილი!

კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. დიდხანს და მკლავმოუღლელოდ გეშრომით და გელვარდით. მრავალს დაესწარით თქვენს ოჯახთან ერთად!

“სამტრედიის მაცნე”



ამიანდლი კაშიას!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, პატივისმცემელსა და დიდ დამფასებელს, თადარიგის პოლკოვნიკს, ბატონ ავთანდილ კაშიას 77 წლის შესრულებას ვულოცავთ, ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს და ოჯახურ კეთილდღეობას ვუსურვებთ!

“სამტრედიის მაცნე”

ლილი ჩაბრაძე!



ვარდობისთვის, 11 მაისს მოევლინე ამქვეყნას ჩემო პატარავ! ერთი წელია, რაც გვანარებ შენი არსებობით ჩემო ლამაზო, თვალნატვლა, ჭკვიანი გოგო. ღირსეულად გეტარებინოს შენი დიდი, კარგი ბებოს სახელი. ლამაზი ფერადი დღეები მოგმარაგებოდეს. შენით ეამაფოს შენს საყვარელ მშობლებს და ახლობლებს, უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს!

ერთი წლის შესრულებას გილოცავ ბებიკო, საყვარელო, ღვთისა და სამშობლოს სიყვარული იყოს მეგზური შენი სავალი გზისა. ძალიან მიყვარხარ ჩემო თვალისჩინო!

შენი გულიკო ბაბა

ამირვასო ომის ვებმარაგაო!

გილოცავთ ფაშინზე გამარჯვების დღეს, 9 მაისს! დაე, ამ დღეს მოეტანოს თქვენთვის მხოლოდ სიხარული, ბედნიერება და დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა.

დამილოცინხართ, თქვენი ოჯახების შემადგენლობით, კეთილი ადამიანებო! მოლოცვასთან ერთად გიძღვნით ლექსს, მეორე მსოფლიო ომზე რომლის ავტორია, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი ვლადიმერ ღირდალაძე.

მირია მსოფლიო ომი
1939-1945 წ.წ.

ჩვენ დაგამარცხეთ მსოფლიოს მტერი, ფაშინს დავადეთ მძიმე უღელი, არ შეუძლია დაწეროს კალამს ის დრო, უმზეო და სამხელი. ქრისტეს, ადამია მოდგმის ცოდვისგან რომ გამოეხსნა ყველანი ბოლოს, მიტომ დასჭირდა ჯვარზე გაკურა და ამაღლებისთვის სიყვდილი მხოლოდ...

რეზო კანდელაკი
საგარეო ურთიერთობებისა და სახმარო კავშირების სამსახურის მენეჯერი, მირია მსოფლიო ომის ვებმარაგი
ალექსანდრა ბანაძე
თავმჯდომარის ადგილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე
სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაქაძე
გამომცემი რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბქინაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე